საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

KA030164568571015

საქართველო, თბილისი 0159; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ფაქსი:(+995 32) 251 00 19; ცხელი ხაზი:(+995 32) 251 00 33; 251 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge

144 Ak.Tsereteli ave., 0159, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 251 00 11; Fax:(+995 32) 251 00 19;Hot line:(+995 32) 251 00 33; 251 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/12742 23 / თებერვალი / 2015 წ.

სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს“

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ განიხილა სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ მომართვა (№ 4/44249), რომელიც ეხება ოპერატორ კომპანიებთან გაფორმებულ ნასყიდობის ხელშეკრულებებში ცვლილებების შეტანის საკითხს, რაც დაკავშირებულია 2014 წლის 1 იანვრიდან სასწრაფო სამედიცინო დახმარებისა და სოფლის ექიმის მომსახურებების შესაბამისი სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში სრულად დაფინანსებასთან. შესაბამისად, აღნიშნული ასახულ უნდა იქნას ოპერატორ კომპანიებთან გაფორმებულ ე.წ. „სამმხრივი“ ნასყიდობის ხელშეკრულებების სტანდარტულ დანართში, რომელიც განსაზღვრავს ბაზისური სერვისების ნუსხას, რომლებიც კონკრეტულმა კომპანიამ უნდა შეინარჩუნოს გარდამავალი პერიოდის დასრულებიდან 7 წლის განმავლობაში, შესაბამისი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ხელშეკრულებით განსაზღვრული სპეციფიური პირობების გათვალისწინებითა და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პრინციპის დაცვით.

რამდენადაც, საკითხის განხილვისა და შესაბამის ხელშეკრულებებში ცვლილებების შეტანის მიზნით მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, თქვენი წერილით მოთხოვნილ იქნა ინფორმაცია სახელმწიფოს მხრიდან აღნიშნული სერვისების გადმობარებამდე მზღვეველი / ოპერატორი კომპანიების მიერ შესაბამისი სახელმწიფო პროგრამებში მომსახურების უწყვეტად მიწოდების ვალდებულების შესრულების შესახებ, ჩვენს მიერ აღნიშნული ინფორმაცია გამოთხოვილ იქნა სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოდან“.

შესაბამისად, სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ წერილით (№04/6602, 30.01.2015 წ.) მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, გაცნობებთ, რომ „სოფლის ექიმის“ პროგრამის „პირველადი ჯანდაცვის მომსახურება სოფლად“ კომპონენტის და „სასწრაფო გადაუდებელი დახმარების და სამედიცინო ტრანსპორტირების“ პროგრამის „სასწრაფო სამედიცინო დახმარების“ კომპონენტის ფარგლებში, კომპონენტებით განსაზღვრული მომსახურების გადმობარებამდე (2014 წლის 1 იანვრიდან გეგმა-გრაფიკის მიხედვით), მზღვეველი/ოპერატორი კომპანიების მიერ, ყოველთვიურად ხდებოდა შესრულებული სამუშაოს შესაბამისი საანგარიშგებო დოკუმენტაციის წარდგენა სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოში“, ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრირების წესით განსაზღვრულ ვადებში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, უზრუნველყოთ შესაბამისი ქმედებების განხორციელება.

დანართი: სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ წერილი (№04/6602, 30.01.2015 წ.).

მინისტრის მოადგილე ზაზა სოფრომაძე